ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

IMPACT HUB Vienna

ČENN
Shaping the Future by Changing Today

ადგილობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება

არ იმოქმედო მარტო...

KRDF
ქახეთის რეგიონული განვითარების ფონდი
KAKHETI REGIONAL DEVELOPMENT FOUNDATION

Green lane

შესავალი

გამარჯობა. კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა ონლაინ სახელმძღვანელოში, რომელიც სავსეა საკუთარი სოციალური ბიზნესის დასაწყებად საჭირო პრაქტიკული რჩევებითა და მასალებით.

სახელმძღვანელოს წინამდებარე ნომერში თქვენ გაეცნობით ბიზნესის ისეთ იდეებს, რომლებსაც საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ, მიიღებთ ინფორმაციას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული სოციალური საწარმოებისა და ქსელების შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ ეს ინფორმაცია ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, საკუთარი სოციალური ბიზნესსაქმიანობის დაწყებაში დაეხმარება.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს სომხეთისა და საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს საკუთარი შესაძლებლობების გაძლიერებაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მრავალფეროვნების გათვალისწინებით. ის განკუთვნილია კერძო მეწარმეებისა და სოციალური მეწარმეობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებისათვის მათი ცოდნის, გამოცდილების, ლიდერობის უნარებისა და მდგრადობის გასაძლიერებლად.

სახელმძღვანელოს რჩევების გათვალისწინებისა და გამოყენების შედეგად თქვენ:

- უკეთ გაიგებთ სოციალური საწარმოების მოდელების ღირებულებასა და მიზნებს;
- მიიღებთ ცოდნასა და გამოცდილებას რეალური სოციალური საწარმოების მაგალითებიდან;
- შეძლებთ სახსრების მოზიდვის და შემოსავლების მოდელების იდენტიფიცირებას;
- გაიაზრებთ შემოსავლის მიღების მოდელებზე წარმატებით გადასასვლელად აზროვნების შეცვლის აუცილებლობის მნიშვნელობას;
- უკეთ გაიგებთ თემის განვითარების აუცილებლობის მნიშვნელობას;
- თქვენი ორგანიზაციისა თუ სოციალური საწარმოსთვის გამოიყენებთ ისეთ პრაქტიკულ საშუალებებს, როგორიცაა „სთორითელინგი“ (ამბის თხრობა) და ბრენდირება;
- შეისწავლით და დანერგავთ ზემოქმედების შეფასების მეთოდებს.

გარდა ამისა, სახელმძღვანელო შეგიქმნით თქვენი ორგანიზაციისა თუ სოციალური საწარმოს გრძელვადიანი მდგრადობის მისაღწევად მისი გაუმჯობესების, სრულყოფის ან შეცვლის მოტივაციას.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ადგილობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება

არ იმოქმედო მარტო...

გრძელვადიან პერსპექტივაში საკუთარი არსებობისა და საქმიანობის უზრუნველსაყოფად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის აუცილებელია ურთიერთქმედება და თანამშრომლობა როგორც დაინტერესებულ მხარეებთან, ასევე ადგილობრივ საზოგადოებასთან. უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი სტრატეგიის შერჩევა, რომელიც არ დაუშვებს ორგანიზაციის/სოციალური ბიზნესის იზოლირებას და, უხეშად რომ ვთქვათ, ადგილობრივი საზოგადოებისაგან მოწყვეტას. მდგრადი ორგანიზაცია/სოციალური ბიზნესი ყველა ასპექტში დამოკიდებულია ადგილობრივი საზოგადოების ყველა ჯგუფთან ორმხრივ ურთიერთობასა და თანამშრომლობაზე.

ვინ და რა არის „ადგილობრივი საზოგადოება“ ამ კონტექსტში?
ადგილობრივ საზოგადოებაში ზოგადად მოიაზრება შემდეგი სუბიექტები:

- (სოციალური) ბიზნესები;
- ორგანიზაციები – არასამთავრობო ორგანიზაციები;
- პოლიტიკოსები – გადაწყვეტილებების მიმღები პირები;
- სასწავლო დაწესებულებები;
- მედია.

რატომ არის საზოგადოების ჩამოყალიბება ასეთი მნიშვნელოვანი[1]?

1. საზოგადოების ჩამოყალიბება ხელს უწყობს ადამიანებს შორის კავშირების დამყარებას

ჩვენ სოციალური არსებები ვართ. სოციალიზაციის პროცესი საზოგადოებრივ სივრცეებში (სკოლა, ოჯახი, ქალაქი, სამსახური, და სხვ.) მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე მიმდინარეობს. ადამიანები ერთმანეთთან კავშირს მათთვის საინტერესო საგნების, საქმიანობისა თუ საკითხების გამო ამყარებენ.

საზოგადოების ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც ხელს უწყობს ადამიანებს შორის კავშირების დამყარებას და ქმნის ხელშემწყობ ინფრასტრუქტურას.

1. https://fairforceberlin.medium.com/why-building-community-is-so-important-6f1a3953c1d7

2. ქმნის სივრცეს ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად

საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი შეიძლება გამოცდილების გაზიარების სივრცედ გადაიქცეს. საზოგადოებრივი სივრცეები, თუ ისინი უსაფრთხოა, ღიაა და სათანადოდ იმართება, ადამიანებს ერთმანეთის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების შესაძლებლობას აძლევს. გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების შედეგად ადამიანებს უჩნდებათ მოტივაცია, ახალი იდეები და სწავლისა და ერთმანეთის დახმარების სურვილი.

3. საზოგადოების ჩამოყალიბება ხელს უწყობს კოლექტიურ განათლებას

Tგამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება არა მხოლოდ ინდივიდუალურად აძლიერებს მის წევრებს, არამედ ის კოლექტიური განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. აუცილებელია, რომ საზოგადოებრივ სივრცეებში მუდმივად მიმდინარეობდეს საზოგადოების წევრებს შორის საუბრები და გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა, რაც არსებული ცოდნის გაზიარებისა და ხშირ შემთხვევაში ახალი ცოდნის გენერირების სისტემად გარდაიქმნება. ადამიანებს, რომლებიც საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას სხვებს თამამად და ხალისით უზიარებენ, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საზოგადოების კოლექტიურ განათლებაში.

4. საზოგადოების ჩამოყალიბება ხელს უწყობს კოლექტიურ ზრდას

კოლექტიური ზრდა კოლექტიური განათლებით მიიღწევა. დიალოგები და ღია საუბრები განსხვავებული თვალსაზრისებისა და მოსაზრებების გაჩენას უზრუნველყოფს. გამოცდილების გაზიარება ხელს უწყობს საზოგადოების გააქტიურებას და მისი წევრების გაძლიერებას. მათ ცოდნის გაუმჯობესებისა და მიღებული ცოდნის საკუთარი კეთილდღეობისათვის გამოყენების შესაძლებლობა ეძლევათ.

საზოგადოების წევრები საზოგადოებისაგან გამოცდიღებას იღებენ. საზოგადოება, საკუთარი გამოცდიღებით, ზემოქმედებას ახდენს მის წევრებზე და მათ განვითარებაში ეხმარება. საზოგადოების ჩამოყაღიბების პროცესში ყურადღება უნდა გამახვიღდეს ისეთი ღირებული გამოცდიღებისა და ცოდნის გაზიარებაზე, რომეღიც მის წევრებს ზრდასა და გარდაქმნაში დაეხმარება.

5. ის ხელს უწყობს ნდობის გაღრმავებას და მოძრაობების გაჩენას

საზოგადოებისჩამოყალიბებისსტრატეგიებიდაპრაქტიკაძალიანმნიშვნელოვანიასაზოგადოებაში ნდობის ჩამოსაყალიბებლად. რაც შეეხება ორგანიზაციას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამიზნე აუდიტორიასთან, მომხმარებლებთან, დამკვეთებთან, მხარდამჭერებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ა.შ. ნდობის პორტფელის შექმნას. კოლექტიური განათლება საერთო მიზნების მისაღწევად ერთობლივი ძალისხმევაში მონაწილეობის მიღების გზით ნდობასა და ლოიალობას ემყარება.

საზოგადოების ჩამოყაღიბება მოძრაობებს ქმნის. როდესაც ადამიანები ერთად იკრიბებიან, ისინი ხდებიან უფრო ძღიერი, მათი ხმა უფრო კარგად და ძღიერად ისმის. საზოგადოებას შეუძღია უფრო მკაფიო გახადოს საკუთარი მიზნები და პრობღემები და უფრო აქტიურად ჩაერთოს ზემოქმედებაზე ორიენტირებული გარდაქმნების პროცესში.

6. ხელს უწყობს ინოვაციებს

საზოგადოებრივ სივრცეებს ინოვაციების შექმნის დიდი პოტენციალი აქვთ. კოლექტიური სივრცეები სავსეა განსხვავებული თვალთახედვებით. ცოდნით, გამოცდილებითა და მოსაზრებებით, სადაც ადვილია ახალი იდეების გაჩენა.

მრავალი გონების, სულის, გულისა და თვალსაზრისის თავმოყრა და ეფექტური მუშაობა მნიშვნელოვნად ზრდის ისეთი ახალი გადაწყვეტილებებისა და მიდგომების მიღების შესაძლებლობას, რომლებიც დაგეხმარებათ ინოვაციური სისტემებისა შექმნასა და კონკრეტულ საკითხებსა თუ გამოწვევებზე პასუხების მოძიებაში.

ააგეთ საქმიანობა საზოგადოების საჭიროებებსა და ღირებულებებზე

რა არის ფასეული წინადადება?

- თქვენი პროდუქტის ან მომსახურების „უნიკალური თავისებურება“;
- სიტყვასიტყვით – „რა ფასეულობას ვთავაზობ ჩემს მომხმარებლებსა და ბენეფიციარებს?';
- აყალიბებს თქვენს მარკეტინგსა და ბრენდინგს;
- მისი საშუალებით შესაძლებელია 'სლოგანის' ან 'საიმიჯო სლოგანის' მოფიქრება;
- იძლევა კონკრეტული (სამომხმარებლო) ბაზრის სეგმენტაციისა და კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებთან მუშაობის შესაძლებლობას;
- სასარგებლოა დაინტერესებული მხარეების ანალიზის ჩასატარებლად და საქმიანი ურთიერთობებისა და პარტნიორობის დასამყარებლად.

ფასეული წინადადება - მთავარი



პრაქტიკული სავარჯიშოები:

- ***ჩამოთვალეთ თქვენ გახეშემო ახსებული სუბიექტები. ხომელია ის სუბიექტი, ხომელთანაც თანამშრომლობა თქვენი ორგანიზაციისთვის/სოციალური ბიზნესისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია/შეიძლება გახდეს ყველაზე მნიშვნელოვანი?***

- **საკუთარ თავს დაუსვით შემდეგი შეკითხვები:**
  - რომელია თქვენი სამიზნე აუდიტორია?
  - რა არის მომსახურების 'მოგების მომტანი' და 'ტკივილგამაყუჩებელი' (გრაფიკის მიხედვით)?

სახელმძღვანელოს მომზადებისთვის მადლობას ვუხდით:

heartbeats innovation & communication

YES We Care 2

წინამდებარე სახელმძღვანელო შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, ხელგონული პროექტის „EU4Youth: სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება (SEED) მწვანე ზრდისთვის საზღვისპირა ხელგონებში“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ადგილობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება

არ იმოქმედო მარტო...